

ხელშეკრულება

თბილისი

თარიღი:

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები:

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში ამ ხელშეკრულებაში მოხსენიებული, როგორც „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი მისი რექტორის გიორგი მათიაშვილის და მისი კანცლერის ელისო ელისაშვილის მიერ

და

ფიზიკური პირი: ----- (შემდგომში ამ ხელშეკრულებაში მოხსენიებული, როგორც „სტუდენტი“)

ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით ქვემოთ მოყვანილ პირობებზე:

I. სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

1.1 სტუდენტის ჩარიცხვა უნივერსიტეტში ხორციელდება რექტორის ბრძანებით.

1.2. უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტი ----- გრანტით დაფინანსების შემთხვევაში ყოველწლიურად იხდის სწავლის საფასურს 2250 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების დადების დროისათვის 1 დოლარის ღირებულებაა, ---- ლარი, შესაბამისად 2250 ლარი (რომელიც არის სწავლის მთლიანი საფასური) წარმოადგენს ----- დოლარს. იმ შემთხვევაში თუ ერთი დოლარის ღირებულება გახდება 3.00 ლარი სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს - ----- ლარი თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში);

1.3. სტუდენტს შეუძლია გადაიხადოს სწავლის საფასური ერთიანად ან ნაწილობრივ (არანაკლებ ერთი მეოთხედის) ქვემოთ მითითებულ ვადებში:

I ნაწილი – რექტორის მიერ განსაზღვრულ სტუდენტთა რეგისტრაციის განმავლობაში. ყოველ მომდევნო წელს კი სწავლის დაწყებიდან 1 კვრის განმავლობაში.

II ნაწილი - 15 დეკემბრამდე;

III ნაწილი - 15 მარტამდე;

IV ნაწილი _ 15 მაისამდე.

1.4. თანხის გადახდა ხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით (გადარიცხვით). უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში გამოიყენება ქვემოთ მოყვანილი საბანკო ანგარიში:

სს. „თიბისი ბანკი“

კოდი: TBCBGE22

ა/ა GE13TB7151736020100006

1.5. სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა წარმოადგენს სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველს. სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის შემთხვევაში გადახდილი სწავლების საფასური არ დაუბრუნდება. სტუდენტს ასევე არ აქვს უფლება მოითხოვოს სტატუსის/შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში მის მიერ გადახდილი თანხის გამოყენება სტატუსის აღდგენისთვის ან სხვა მიზნით. პირს რომელიც უნივერსიტეტში ჩარიცხვამდე (რეგისტრაციის დროს) გადაიხდის სწავლის საფასურს უფლება არ აქვს მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება იმ საფუძველით, რომ აღარ სურს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება ან რაიმე ისეთი საფუძველით რომელშიც უნივერსიტეტის არ მიუძღვის ბრალი.

1.6. აკადემიური დავალიანებით განპირობებული ნებისმიერი სასწავლო დისციპლინის ხელმეორედ გავლა ან დამატებითი შესწავლა სტუდენტს აკისრებს უნივერსიტეტში მოქმედი წესებით გათვალისწინებულ დამატებით ფინანსურ პასუხისმგებლობას. სტუდენტს მის მიერ გადახდილი ზედმეტი თანხა (მაგ გადაიხადა სწავლის საფასურის მეოთხედ ნაწილზე მეტი) დაუბრუნდება უკან მას შემდეგ როცა

იგი სრულად დაფარავს მიმდინარე წლის სწავლის საფასურს. ასეთ შემთხვევაში სტუდენტს ზედმეტად გადახდილი თანხა უბრუნდება თანხის წერილობით მოთხოვნიდან არა უადრეს 1 თვის ვადაში;

1.7. სტუდენტს უფლება აქვს უნივერსიტეტში მოქმედი წესების საფუძველზე ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო ფონდით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით.

1.8. სტუდენტი ვალდებულია გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას (შენობა, მაგიდები, დაფები, კომპიუტერები და ა.შ.). ქონების დაზიანების შემთხვევაში ვალდებულია სრულად აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

1.9. სტუდენტი ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტში მოქმედი წესები, მათ შორის სტუდენტის ეთიკის კოდექსი.

1.10. უნივერსიტეტში მოქმედი წესების, დარღვევის შემთხვევაში სტუდენტის მიმართ გამოყენებული იქნება უნივერსიტეტში მოქმედი შიდა დოკუმენტებით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხის-მგებლობის ღონისძიებები. დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე სტუდენტს შეიძლება შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი.

II. უნივერსიტეტის უფლებები და მოვალეობები

2.1. უნივერსიტეტი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების, უნივერსიტეტში მოქმედი წესების საფუძველზე.

2.2. უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა) დააკმაყოფილოს სტუდენტის ინტელექტუალური, კულტურული და ზნეობრივი განვითარების მოთხოვნები ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიღების გზით.

ბ) უზრუნველყოს, რათა სტუდენტმა თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო ფონდით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით.

გ) განახორციელოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტში მოქმედი წესებით გათვალისწინებული მოვალეობები.

III. დამატებითი პირობები

3.1. ხელშეკრულება იდება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სწავლის ვადით.

3.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა გარდა ამ ხელშეკრულების 1.2 და 1.5 პუნქტებისა მოხდება ურთიერთშეთანხმებით. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული 1.2. და 1.5. პუნქტების შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია ცვლილების შეტანიდან არა უგვიანეს 2 კვირის ვადაში აცნობოს სტუდენტს.

3.3. ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლარად. ერთი პირი გადაეცემა სტუდენტს, ხოლო მეორე პირი რჩება უნივერსიტეტში.

3.4. სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებს რომ გაეცნო უნივერსიტეტში მოქმედ წესებს და მას არავითარი პრეტენზია არ გააჩნია.

მხარეთა ხელმოწერები

უნივერსიტეტი	სტუდენტი
შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისისი სასწავლო უნივერსიტეტი სკ 20455524 იურ. მისამართი: თბილისი, სამღერეთის ქუჩა N5 ტელ: 24 65 90 რექტორი	სახელი და გვარი პირადი ნომერი: რეგისტრაციის მისამართი: ფაქტობრივი მისამართი: კანონიერი წარმომადგენელი: ტელეფონი (სახლი)

კანცლერი	ტელეფონი (მობილური) ხელმოწერა:
----------	---------------------------------------